წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 19 აგვისტო 1915 წ. № 72

„ კლიკი “

ხელის მოწერა და დახარჯული განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., აღრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლიკის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

თბილისის ნოგაპრიუსი
გ. ლ. მაჭავარიანი

სურამში ნამყოფი

ხსნის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ერევნის მოედანზე № 3, ვაჭრების ბანკის შენობაში

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურების სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი
სასადილო
„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე ილის **9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის **საშვალებით და საწერ მანქანაზე**

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. **და საღ.** 5—7 საათ. **ყაზბეგის ქუჩა** 14 **და** კირპიჩნი შესახვევის 21.

ძ. გ ო ტ რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან **და** ქირურგიულ **სნეულებიან** ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

„ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

ერთი კვირის პროგრამა 18—23 აგვისტომდე

ოთხშაბათი 19 აგვისტო
ხუთშაბათი 20 აგვისტო **საგავშო საღამო-სეირნობა** ქართული წარმოდგენა, ბაღში დაუკრავს ორკესტრი **სინემატოგრაფით,** ცეკვით და ორკესტრით 9 ს. შემდეგ **სტანდარი.**

პარასკევს 21 აგვ. სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ ბაღში დაუკრავს ორკესტრი.

შაბათი 22 **აგვისტო** ოპერეტა ქართულ ენაზე, ბაღში დაუკრავს ორკესტრი. ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

კვირას 23 **აგვისტოს** მოლოროსიული სპეკტაკლი შესვლა უფასოა. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, წარმოდგენის 9 საათზე. საბავშო საღამოს 5—9 საათამდე სტუმრები კლობში შესასვლელად იხდიან ჩეულებრივ ფასს.

პოზიციებზე 15—16 აგვ. განმავლობაში ბრძოლის სიმკაცრე ოდნავადაც არ შენელებულა. გერმანელები თავიანთ მოქმედებას ავითარებდნენ გროს-ეკაუნეიგუტის რკინის გზის ხაზზე და სოფ. ბიორსგალენისკენ. დვინის მიმართულებით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ზოგიერთ ადგილას რუსები იერიშებზე გადავიდნენ. ვილენსკის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს წინანდელ ფრონტზე. გერმანელები მდ. ნემანის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ და ოლიტის რაიონში 16 აგვ. შეეცადნენ ორინის მიმართულებით წამოსულიყვნენ იერიშებით. დანარჩენს ფრონტზე შუა ნემანიდან მოყოლებული მდ. პრიპიაციის სამხრეთით რუსის ლაშქარი ძალაგ განაგრძობს ეკან დასვლას, რაშიაც ხელს უწყობენ უკანა მავალი ჯარები. ამათ 15 აგვისტოს გერმანელების მთელი რიგი იერიშების შეაჩერეს ლიპსკის რაიონში. სამხრეთით უკანამავალი ჯარებივე აჩერებდნენ გერმანელთა დიდ ძალებს პრეჟანგორლიცის ფრონტზე. ვლადიმერ ვოლინსკის რაიონში გერმანელებმა ჯართა გადაჯგუფება მოახდინეს და ღამით 16 აგვ. ვლადიმირ-ვოლინსკიდან ლუცვისკენ გამოემართნენ. უკანასკნელ პუნქტზე ჩრდილოეთით მდ. სტირიის ორივე ნაპირებზე სასტიკი ბრძოლა ასტყდა.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბერლინერ ტაგებლატში მოთავსებულია რუსინელ დეპუტატის ლევიცკის წერილი. ამ ლევიცკის არა ერთხელ გამოულაშქრია რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ. ლევიცკი პროტესტს უცხადებს პოლონეთის ორივე ორგანიზაციას, რომელნიც მოითხოვენ, რომ მომავალ პოლონეთის საზღვრებში მთელი გალიცია უნდა მოჰყვესო. აღმოსავლეთი გალიცია უკრაინელებს ეკუთვნით და არა პოლონელებს და არც ერთი რუსინელი პოლიტიკური მოღვაწე არ დაეთანხმება, რომ უკრაინელთა მამულს პოლონელნი დაეპატრონნენ. ლევიცკი ამბობს იქნებ მთლად გალიციის დაპატრონება აიხსნას ანაზდეულად გაღვიძებულ ბატონობის სურვილითაო. როდესაც პოლონეთი დამოუკიდებელი იყო, მაშინაც ეპოტინებოდნენ ხოლმე უკრაინელთა მამულებს, რის გამოც დიდი სისხლის ღვრა ჰხდებოდა. ამ ბრძოლით პოლონეთმა თავის თავიც დაღუპა და უკრაინაც თან გაიყოლაო, რადგან შეწუხებული უკრაინა გარედ ეძებდა ხსნას და სხვას მიჰმართავდა ხოლმეო. ლევიცკი უსურვებს პოლონელებს ყოველგვარ სიკეთეს და მოაგონებს, რომ სხვას ნუ ისაკუთრებენ, რადგან ჯერ თვით პოლონეთს თავისი არაფერი აქვსო.

ეჩმიაძინი, 15 აგვისტოდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ, დღევანდელ დღემდე 3700-მა ობოლმა მოიყარა თავი. მთავარმა კომიტეტმა „ძმურმა დახმარებამ“ დაადგინა, რომ თბილისის და ერევნის გუბერნიაში ამ იბლებს თავშესაფარი გაუხსნას.

ვანში დაბრუნებულ-გამოქცეულთათვის იგდირისა და ვანის შუა მდებარე გზაზე იხსნება მასაზრდოებელი ბანაკი.

ვარშავაში იხსნება პოლონური უნივერსიტეტი.

გაზეთი „ვრემია“ იტყობინება, ხიტროვის მოედანზე პოლიციამ ერთი მთვრალი ვინმე შეიპყრო, რის გამოც პოლიციასა და ხალხსშორის შეტაკება მოხდაო. ხალხი პოლიციას აგურებს ესროდა. დაშავდა ბოქაულის თანაშემწე, აგრეთვე მძიმედ დაშავდა 4 პოლიციელი, ხოლო 30 მსუბუქად. ხალხთაგან ერთი მოკლულ იქმნა, ერთი ბავშვიც დაიჭრა.

მოვალეობა და შედეგი

რუსეთის იმპერიაში მოყოლილი ერები ყველა ერთნაირად იხდის სამხედრო საიმპერიო მოვალეობას, ხოლო ყველა ერთნაირად როდი განიცდის ომის შედეგს. პირველ ყოვლისა და ყველაზედ უფრო ის ისჯება, ვინც რუსეთის განაპირა ადგილას სახლობს და ვისი მიწა-წყალი და სახლ-კარი ტყვია-ყუმბარის პირველი სანავარდოა. ეს წილად ხვდა ოსტზეის მხარესა და პოლონეთს, რომლებიც გერმანეთის ჯარის შემოსასვლელი კარებია. მთელი ეს მხარე გაანადგურა მრავალმილიონ ჯარის თარეშმა; ზარბაზნის ცეცხლმა გადასწვა სახლ-კარი, გადახრუკა სახნავ-სათესი, ხე-ტყე, გაწყდა საქონელი. გაიპნა და დაიღუპა მთელი სიმდიდრე, რაც საუკუნეთა განმავლობაში თაობათა გარჯას შეუქმნია და დაუგროვებია. თვით მცხოვრებნი აიყარნენ და უსახლ-კაროთ დაოლოლავენ ფართე შარა-გზაზედ. სხვის სამადლოდ და ლუკმა პურის სამათხოვროდ გახდა ისიც, ვინც თვის ეზოში მორჭმით და ლაღად სცხოვრობდა. გატიალდა და აღიგვა სულ ერთიანად ეკონომიური ბედოვლათობა ამ მხარეთა; მარტო ეს არ მოუტანია მტერთა შემოსევას. თვით ერის ფიზიოლოგიური ორგანიზმის სიმრთელეს ღრმა ჭრილობა მიაყენა.

ამ გვარივე უბედურება დაატყდა საქართველოს სამაჰმადიანო ნაწილს, რომელიც გადმოსალახავი ზღურბლია კავკასიაში შემოსასვლელად. აჭარის დიდი ნაწილი, მთელი ძველი კლარჯეთი, შავშეთი და იმერხევი ნაოხარ ადგილს წარმოადგენს, სადაც მხოლოდ ძაღლის ყმუილი და დანგრეული სახლ-კარი გვაუწყენ, რომ აქაც ადამიანს უცხოვრია.

ამ ხსენებულ მხარეებში დაშავდა არა მარტო მეომარი შვილი ერისა, არამედ შინ მსხდომი დაჩაჩანაკებული მოხუცი, ბალღი, ყრმა და ქალი; დაშავდა არა მარტო ცოცხალი ძალა ერისა, არამედ ერის სარჩო-საბადებელი, სახლი, კარი, ეზო და მამული.

ომის შედეგი მწვავეა და საგრძნობელი აგრეთვე იმისთვის, ვინც ჩვეულებრივ დროს უფლებრივად შეზღუდული იყო რუსეთში.

საცოდავ ებრაელთა შევიწროება, რომელიც „ბინადრობის ფარგლის“ განკარგულებაში იყო გამოთქმული, დღესაც არაა სავსებით გაუქმებული. დღესაც **ყველა** ქალაქში ებრაელს არ ეცხოვრება. სათათბირომ დღესაც სავსებით ვერ დათრგუნა ეს სამარცხვინო უუფლებობა ებრაელისა. ებევრა ელემენტურ უფლების გაბოძება! პოლონეთიდან აყრილმა და გამოქცეულმა ებრაელმა იმაზედაც უნდა იზრუნოს, თუ სად, რომელ ქალაქში, რა საბუთის ძალით უნდა იცხოვროს.

ომის შედეგი მეტადეგი განსაკუთრებულის სიმძიმით აწვება იმ მხარეს, რომლის ბედ-იღბალს განაგებდა და დღესაც განაგებს ერთათ-ერთი ადმინისტრაცია, იმ მხარეს, სადაც გაბატონებულია ბიუროკრატიული პრინციპი და საიდანაც განდევნილია ყოველგვარი საზოგადოებრივი დასაბამი მოქმედებისა და მოვლა-პატრონობისა.

ერობა და საერობო ორგანიზაცია არ იქმნა, არ მოგვეცა. მთავრობა და მისი აგენტები თუ სხვა დროს ვერ აკმაყოფილებდნენ ქვეყნის საჭიროებას, დღეს, როდესაც წმინდა სახელმწიფოებრივი ზრუნვა ერთი ასად გაეზარდათ, და ხალხის ეკონომიური მდგომარეობა საშინლად აიწეწ-დაიწეწა, მით უფრო ვერ დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას.

ერობა, საერობო ორგანიზაციები, რამოდენიმეთ მაინც ხალხური ორგანიზაციებია. რუსის ხალხს შეუძლია საეკონომიო და სამეურნეო საქმეში ფართე თვითმოქმედება გამოიჩინოს და ამ თვითმოქმედებაში დახმარებას უწევს თვით მთავრობაც, არსებულ ერობის წესდების ფარგლებში. ან საერობო ორგანიზაციის წყალობით რუსის ხალხს ჰყავს საერობო საქმეში გაწრთვნილი და პრაკტიკულ საქმიანობაში ჩახედული მოღვაწე ინტელიგენტები, რომლებიც ხალხის ტკივილებს გულისყურით ეკიდებიან და მის მოშუშებისთვის იღწვიან.

ომის შედეგი განსაკუთრებულ სირთულეს ღებულობს იქ, სადაც მეფობს საერთო ეკონომიური სიღარიბე და მოუწესრიგებლობა.

კერძოდ ქართველებისთვის ყველა ამ დასახელებულ უბედურობას ზედ დაერთო ერთობლივი შიმშილი, რომელიც შედეგია ორი უკანასკნელი წლის ზედი-

ომის დღიური

დეპეშები

თბილისი, 17 აგვ. **კავკასიის ჯარის შტაბისაგან.** 15 აგვისტოს მთელს ფრონტზე არავითარი სათანადო ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ მოწინმვე რაზმების ნაწილს მცირე შეტაკება უხდებოდა. როგორც გამოირკვა 9 აგვისტოს რუსის ჯარის ბრძოლა შემდეგის გამარჯვებით დაგვირგვინდა: შევიპყარით ტყვედ 84 ოფიცერი, 5,129 ჯარისკაცი, ამის გარდა, როდესაც ოსმალებს უკან ვსდევდით დუთახის გზიდან კოპამდე, ჩვენის ცხენოსნისაგან მოკლულ იქმნა 2000 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 12 ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი, 90 ყუთი თოფებით და პატრონებით, 2 ტრანსპორტი სანოვაგით, 200 ეტლი, 2 ეტლი სამუშაო იარაღით და რამდენიმე ყუთი ასაფეთქებელ მასალით სავსე. ასზე მეტი დატვირთული აქლემები და ჯორცხენი. ათასამდე საქონელი, ორი ბანაკი კარავებით, კანცელარია ერთ-ერთ პოლკისა მრავალ დოკუმენტებით.

პეტროგრადი, 17 აგვ. ოფიციალი. ქალაქ ფრიდრიხ შტადტის დასავლეთ

ეჩმიაძინი, 15 აგვისტოდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ, დღევანდელ დღემდე 3700-მა ობოლმა მოიყარა თავი. მთავარმა კომიტეტმა „ძმურმა დახმარებამ“ დაადგინა, რომ თბილისის და ერევნის გუბერნიაში ამ იბლებს თავშესაფარი გაუხსნას.

ზედი მოუსავლობისა და რომელსაც კიდევ უფრო ამწვავებს და ახანგრძლივებს ის საშინელი სეტყვა, წვიმები და წყალდიდობა, რომელთაც ამ წინებზე სულ ერთიანად წალეკეს საქართველო და მოსრნეს წლევანდელი ჭირნახულიც.

ამ გვარად, თუ ერთის მხრივ ყველაზედ ერთნაირად არის გაწერილი წმიდა სამხედრო სახელმწიფოებრივი ბეგარა და თუ რუსეთის იმპერიის ყოველი ერი ერთნაირად იხდის თავის მოვალეობას, სამაგიეროდ, მეორეს მხრით ომის შედეგი ერთნაირის სიმძიმით არ აწვება ამა თუ იმ ერს. ერთი ერი მეორეზე უფრო გამოდის, დაჭრილი. შედეგის უსწორმასწორობა ჰკიდია ამა თუ იმ ხალხის სამკვიდრებელის გეოგრაფია-ტოპოგრაფიაზე,

მთავრობა მოვალეა ომის შედეგის საშინელება შეუმსუბუქოს მას, ვისაც, მდგომარეობის სპეციფიურობის ძალით, სხვებზედ უფრო დასწოლია იგი.

მთავრობა მოვალეა... მაგრამ ყველაზე უფრო მოვალეა თვით ხალხის წარმომადგენელი, რომელიც მთავრობასთან ერთად პირისპირ თათბირობს, მოვალეა იცოდეს ყოველი დეტალი თავისი ერის სპეციფიური ტკივილებისა, და მტკიცედ დაიცვას მშობელი ხალხის ინტერესი... მოვალენი არიან საქართველოს შვილები კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი, ენერგიულ ტრიბუნებად სწორედ ამ საკითხში გამოვიდენ, იზრუნონ, იბრძოლონ და დაიცვან ქართველისა და საქართველოს ინტერესები, მოვალენი არიან, რადგანაც დღეს სხვა **ქართველი** იქ აღარ არის რომ მშობელ ქვეყანას შეეძლოს თავისი უზენაესი ზნეობრივი უფლებით დაავალოს თავისი სახელის და არსებობის დაცვა.

მოვალეა თვით ქართველი საზოგადოება ჩაუკვირდეს ამ თავის სპეციფიურ მდგომარეობას; მან უნდა დასძლიოს თვისი აპატია, მოიკრიფოს მთელი თავისი ძალღონე, მივიდეს საცა მიესვლება, მოსთხოვოს სათათბიროში დეპუტატებად წასულ ქართველებს ნავსი გასტეხონ და ხმა ამოიღონ ერის სახელით ერის საჭიროებაზე; იქართველონ უფრო და იოსმოპოლიტონ ნაკლებ. საჭიროა არა-ადამიანური ენერგია ფხა და გამჭრიახობა, რომ ამ განსაცდელით მოცულ დროში თავი გადავირჩინოთ და მომავალი განვიმტკიცოთ!

ს. კ—დია.

წერილები პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

წერილი **თ.**

ჟან ჟორესი და ომიანობის წლის თავი.

31 (18) მკათათვე გლოვისა და მწუხარების დღეა მთელის კაცობრიობისათვის, მთელის პროლეტარიატისათვის და კერძოდ რესპუბლიკანურ საფრანგეთისათვის. შარშან ამ დღეს ჭკუაზე-შერყეულ ადამიანის ხელმა რევოლვერის ტყვიით პარიზში, დღისით-მზისით, წუთისოფელს გამოასალმა უდიდეს გონიერების ადამიანი—ჟან ჟორესი (1859—1914), ბელადი ფრანგების სოციალისტებისა და სულის ჩამდგმელი ინტერნაციონალისა. ამ დღეს საუკუნოდ დახუჭა თვალები იმ ადამიანმა, რომლის გული ასე წრფელად სცემდა ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის, რომლის ულეველი ცოდნა, ფიქრი და აზრი დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა იმისაკენ იყო მიმართული, რომ თანამედროვე კაცობრიობა მოემზადებინა

დასამაგრებლად საერთაშორისო ძმობისა, ერთობისა, სამართლიანობისა და თანასწორობისა. 31 მკათათვეს დადუმდენ ბაგენი იმ სწორუპოვარ ტრიბუნისა, რომლის წინაშე მტერნიც კი მუხლს იდრეკდენ მოწიწებითა. და ჟორესმა სწორედ მაშინ შესწყვიტა სიცოცხლე, ომის გამოცხადების წინა დღით, როდესაც მისს მამულს ესდენ სჭიროდა მისი ჭკუა და გამოცდილება, მისი მხნეობა და ძალა.

მობილიზაციის გამოცხადების მიზეზით თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა შარშან ჟორესის სიკვდილმა; ჩუმად, უზეიმოთ მიაბარეს მიწას მისი გვამი; სოციალისტური პარტია მოერიდა ყოველსავე მანიფესტაციის გამართვას, რადგან დრო და გარემოება საამისოთ ხელს არ უწყობდა.

წლეულ, ჟორესის გარდაცვალების წლის თავზე, სოციალისტურმა პარტიამ მოიგონა ეს დღე თავისის ბელადის დაკარგვისა, პატივი სცა მისს ხსოვნას. მართალია, არც წლეულ იყო გამირთული გრანდიოზული მანიფესტაცია, როგორიც შეჰფეროდა ჟორესს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ყველანი, მიუხედავად მიმართულებისა, განსაცდელში მყოფ მამულის დასაცავად იბრძვიან ერთის სულითა და ერთის გულით.

კვირას, 1 მარიამობისთვეს, ჟორესის სახლში ლა-ტურის ქუჩაზე, დადგმული იყო მიცვალებულის ბიუსტი, რომელსაც აუარებელმა ხალხმა მოწიწებით ჩაუარა და მდუმარედ თაყვანისცა უდიდეს ტრიბუნის სახეს, თითქო საღ ოცავად მოსული ხალხი წმ. ხატის წინაშე ლოცულობდაო. საათის პირველზე სახლის კარები იკეტება და ხალხი მიემართება „შრომის სასახლეში“ სადაც სოციალისტ ვაიანის თავმჯდომარეობით კრება იმართება ჟორესის მისაგებებლად. კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ვაიანმა, მარსელ სემბამ—საზოგადო მუშაობის მინისტრმა, ალბერ ტომასმა—სახელმწიფო სუ-სეკრეტარმა მუნიციისამ და სხ. დაახასიათეს ჟორესის პირვნება, მისი მნიშვნელობა საერთოდ სოცალიზმისა და კერძოთ საფრანგეთის შუშათა კლასისათვის, რომელსაც განსვენებული სათავეში უდგა 1891 წლიდან.

ამავე კრებაზე, სხვათა შორის, წაიკითხეს ნაწყვეტები ჟორესის ცნობილ წერილის „ახალი არმია“-სი. ამ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ომის დროს. ჟორესი ამბობს, რომ ყოველი ერი მოვალეა დაუხვდეს მომხვდურ მტერს, არ დაანებოს თავისი კერა, თავისი მიწა-წყალი და შთამომავლობას საწყევათ არ დაუტოვოს თავისი სახელი. სამშობლო და ეროვნული დამოუკიდებლობა,—განაგრძობს პროლეტარიატის წინამძღოლი,—თუ კი ვისთვისმე ძვირფასია, ორჯელ-მეტად ძვირფასია პროლეტარიატისათვის. პროლეტარიატი, მართალია მონაა თავის ქვეყნის კაპიტალიზმისა, მაგრამ თუ გარეშე მტერს წინ არ აღუდგა და ქედი მოუხარა, ერთის მაგიერ ორს მტერს იძენს: კაპიტალიზმსა და შემოსეულ მტერს. პროლეტარიატი, რომელიც ხელს იღებს და იცავს ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება თვისის განვითარებისა, ვერ შესძლებს თავი დაიცვას კაპიტალიზმისაგან. და ოდეს ივიეე პროლეტარიატი წინააღმდეგობის გაუწევლათ დასთანხმდება, რომ მტრის უღელი მოემატოს მის კისერზე უკვე დადგმულ უღელს კაპიტალიზმისას, თავის დღეში თავის აღებას ვერ მოახერხებს. და ის ფრანგი, რომელიც ამბობს, ვითომც პროლეტარისათვის სულერთი იყვეს,—ვინც ეყოლება ბატონად—გერმანელი თუ ფრანგი—დიდს სისულელეს ამბობს.

ყველგან, საცა არსებობს სამშობლო, ე. ი. ისტორიული ჯგუფი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ერთიანობა და მომავალი ცხოვრება, ეს სამშობლო მიწა-წყალი შეუხებელი უნდა იყოს. ხოლო ყოველი ცდა, ასეთ სამშობლოთა თავისუფლებისა და მათის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული,—ამხედრებაა ცივილიზაციის წინააღმდეგ, მისწრაფებათა ბარბაროსობისადმი. და მწარედ სცდება, ვინც ამბობს, რომ პროლეტარიატს, კაპიტალიზის მონას, იმითი არაფერი დაუშავდება და მისი მონობა უფრო არ გამწვავდება იმით, რომ სხვამ დაიპყროს მისი მიწა-წყალი.

კრების დასასრულ წაკითხულ იქმნა აუარებელი დეპეშები სამძიმრისა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებისა და თვალსაჩინო სოციალისტებისა. თვით კრება საათის ხუთზე დასრულდა ყოვლადის წესიერებითა, რადგან ამ წესიერების დაცვა ისევ სოციალისტებსა ჰქონდათ ნაკისრები.

2 მარიამობისთვეს (20 მკათათვე) წელიწადი შესრულდა, რაც გერმანეთმა საფრანგეთს ომი გამოუცხადა. მთელმა პრესამ აღნიშნა წლისთავი ამ ომისა. ჯამი გაუკეთა ამ ხნის განმავლობაში გაკეთებულს და ამ ჯამზე დამყარებულს, დასკვნა გამოჰყავს მომავლისა. საფრანგეთი გერმანელთ „გადაშენებულთა“ ქვეყნად მიაჩნდათ, რომელიც წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა გერმანეთის ძლევამოსილს მხედრობას. მაგრამ საფრანგეთმა ნათლად დაამტკიცა, თუ რა შესძლებია მხარეს, როცა საერთო განსაცდელის ჟამს ყოველი მისი წევრი დაივიწყებს პირადობას, როცა ყველა პარტიები ხელი-ხელჩაკიდებულნი მიდიან მოსეულ მტრის მისაგებებლათ, განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს სახსნელათ. ამ ომმა საფრანგეთს თვისი შეცდომები დაანახვა. დაანახვა ისა, რომ როცა მტერი ორმოცი წლის განმავლობაში იარაღს ისხამდა და საფრანგეთის მიწა-წყალზე შემოსასევათ ემზადებოდა, საფრანგეთი ჯერ კიდევ მშვიდობიანობისათვის ოცნებობდა, ძმობა-ერთობის იდეალებისათვის სასოებდა. პირველში ძვირად დაუჯდათ ფრანგებს ეს შეცდომა, ისე ძვირათ, რომ მტერი თითქმის მათს სატახტო ქალაქში შემოვიდა. მაგრამ შეცთომა მალე გაისწორეს, აამუშავეს მთელის ქვეყნის ძალები და უკვე იმდენად უყურებენ მომავალს, საბოლოო გამარჯვება საეჭვოთ აღარ მიაჩნიათ.

გერმანელების მთავარ-შტაბის პლანი იყო მთელის თვისის ღონით მისწოლოდა საფრანგეთს ჩრდილოეთიდან და ერთის მოქნევით დაემარცხებინა საფრანგეთი. მაგრამ ბელგიელთა თავგანწირულმა წინააღმდეგობამ და მერე ინგლისელების ჩარევამ გერმანელების ტალღა შეაჩარა.

ამავე დროს საფრანგეთმა მისევითი ომი დაიწყო ალზას-ლორენში იმ აზრით, რომ ამ ფრონტზე გაეჩერებინა რაც შეიძლებოდა მეტი ძალა გერმანელებისა და დრო მოეგო, სანამ ინგლისელები ჩრდილოეთში ჯარს გადმოსხამდნენ.

ჩრდილოეთში საფრანგეთმა 20 მარიამობის თვეს მისევითი ომი დაიწყო; შარლე-რუას ბრძოლაში გერმანელებმა გაიმარჯვეს. მთავარ-სარდალმა ჟოფმა სტრატეგიულის მოსაზრებით გადასწყვიტა უკან დახევა. ფრანგებმა მდინარე მარნამდე დაიხიეს. პარიზი განსაცდელში იყო. გერმანელების მოლოდინში ფრანგების სატახტო ქალაქი თითქმის დაიცალა, მთავრობა ბორდოში გადავიდა. ჟოფრის ჯიუტობა რომ არა, პარიზში შემოვიდოდენ კიდეცა გერმანელები. მარნაზე მთავარ-სარდალმა ჯარს გამოუცხადა; რადაც უნდა დაუჯდეს, წინ უნდა წავიწიოთ და უმალ დავიხოცნეთ, ვიდრე უკან დავიხევდეთო. 6 ენკენისთვეს ბრძოლა დაიწყო. 12 ენკენისთვეს ორივე მხარე საოცარის თავგანწირულებით იბრძოდა. საფრანგეთის ჯარმა გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ მოკავშირეთ უუდიდეს ღირსებით შემკული სარდლები და არა ნაკლებ ღირსეული ჯარი ჰყავდათ.

მარნაზე გამარჯვება ერთი უუმშვენიერესი იყო მთელს ისტორიაში. მაგრამ შედეგად ის არ მოჰყვა, რასაც მოელოდენ. ადამიანის ღონესაც თავისი საზღვარი აქვს, ჯარი საშინლათ მოიქანცა, თან ტყვია-წამალი და ზარბაზნები სამყოფი არ აღმოაჩნდათ ფრანგებს, რათა გერმანელებისათვის დრო არ მიეცათ ღონის მოსაკრეფათ. ჟოფრს შეუძლებლათ მიაჩნდა მოწინააღმდეგეს შუაგულის გარღვევა ისე, თუ მარცხნიდან არ მოუვლიდა. ამ დღიდან დაიწყო სრბოლა ზღვისაკენ. თითოეული მოწინააღმდეგე იმის ცდაში იყო, მეორესათვის გაესწრო. ამას მოჰყვა სასანგრე ბრძოლა. მოწინააღმდეგენი მიწაში გამაგრდენ და აგერ მეცხრე თვეა, იქიდან ერთმანეთი ვერ გამოუდენიათ.

ამ თორმეტ თვის განმავლობაში ფრანგებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს: არასისა, იზერისა, იპრისა, სადაც მოკავშირეთა როგორც სარდლებმა, ისე მათმა ლაშქარმა დიდი სიმარჯვე და სწორუპოვარი მხნეობა გამოიჩინეს. ამ ბრძოლებთან ერთად უნდა აღინიშნოს ბრძოლის ველები რომისა, ენისა, შამპანისა, არგონისა, უვრესა, ლამენისა, ვოუებისა და ალზასისა. ფრანგების უბედურება ამავ თავითვე ის იყო, რომ დიდი საველე ზარბაზნები აკლდათ. მაგრამ დღეს ამ ნაკლს თანდათან ავსებენ. მთელი მათი ინდუსტრია დღე და ღამ მუშაობს მუნიციისათვის და უკვე თამამათ შეუძლიათ სთქვან, რომ ამ მხრივ მტერს თუ არ გაუსწრებენ, არ ჩამოუვარდებიან მაინც.

პირველმა თავტანდაკარქულობის წამძა გადაიარა, ყველაფერი თავის დონეში ჩადგა, ყველანი თავთავიანთს პოსტზე დგანან. ყველანი ხელს უწყობენ მომავალ გამარჯვების წამის მოახლოებას. განვლილმა წელიწადმა დაანახვა ფრანგებს, რომ მეტად ძლიერ მტერთან ჰქონდათ საქმე. [illegible] წელიწადმა ისა [illegible] ერთსულოვანებაა ერისა, როცა სამშობლოს შვილნი ყველანი მოწადინებულნი არიან მიწაწყლის დაცვას ზედ გადაეგონ, იქ მტერზე გამარჯვება უეჭველია. აი, ამ იმედით გადასდგა ფეხი საფრანგეთმა ბრძოლის მეორე წელიწადში. ეგევე იმედიანი მომავალი ულიმის მისთა მოკავშირეთა: ინგლისს, რუსეთს, იტალიას, ბელგიას, სერბიას, იაპონიას და ჩერნოგორიას.

თ. სახოკია.

პარიზი,

3 მარიამ (21 მკათათვე)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა საგენტოსაგან)

პეტროგრადი, 17 აგვ. გამოქცეულთა შესახებ წარმოდგენილ კანონ-პროექტის მიხედვით შემდეგ ფორმულას აქვეყნებენ: „ვცანით რა მცხოვრებთა ევაკუაციის აუცილებლობა სტრატეგიული მოსაზრებით, მაგრამ ვუწევთ რა ანგარიშს, რომ მთელი რაიონების სრული ევაკუაცია ჰქმნის მეტად შემაძრწუნებელ მდგომარეობას, სახელმწიფო სათათბირო გამოსთქვამს სურვილს, რათა ადგილობრივ სამხედრო და საადმინისტრაციო გამგებლობამ უმაღლეს მთავარსარდლის სწორ ჩვენების თანახმად, ძალად ნურავის ნუ აჰყრიან და თუ ეს აუცილებელია, მაშინ იმპერიის შორეულ კუთხეებში ნუ დააშორებენ ოჯახებს ერთმანეთისგან და, შეძლების დაგვარად, თვით სოფლებსაც კი“.

დიმშა საზოგადო შენიშვნებით მიჰმართავს დეპუტატებს, რომ ევაკუაციის დროს ხშირად უმაღლეს მთავარსარდლის ბრძანების თანახმად მარტო ის კი არ ნადგურდება, რასაც სამხედრო მნიშვნელობა აქვს, არამედ ყოველისფერი, ასე რომ მცხოვრებთ ნატამალიც კი არა რჩებათ რა. საჭიროა გამოქცეულთა წესიერი განაწილება გუბერნიებსა და ქალაქებში, რათა ზოგიერთ პუნქტებში მეტი არ მოვიდეს ორატორი მოითხოვს კანონპროექტი მიღებულ იქმნეს სახელმწიფოსა და კაცობრიობის ინტერესების გულისათვის.

იანუშკევიჩი ითხოვს გაიხსენონ, რომ ამ ცეცხლის კიდების დროს ჩვენ მიერვე განადგურებული განაპირა ქვეყნები საკუთარი სისხლითა და ხორცით იცავენ სამშობლოს მთლიანობას და მთელი რუსეთის ღირსებას. ამიტომ გამოდევნილი პოლონელები, ლატიშები და ლიტველები არა მოწყალებას მოითხოვენ, არამედ შველასა გვთხოვენ, როგორც ღირსეულ მოვალეობის გადახდას. მაგრამ არა კმარა მხოლოდ ერთი ნივთიერი დახმარება, საჭიროა დავაკმაყოფილოთ სულიერადაც, რათა მათ სასოებას იმედის სხივი უკრთოდეო წინ, რომ ტანჯვანი თამამად დაითმინონ და უწყოდენ კიდეც, რომ რუსეთი ანგარიშს უწევს მათ, როგორც თავის თანასწორ ძმებს. ორატორის აზრით საკმარისი არ არის 25 მილიონი მანეთის გაღება, აგრეთვე ეწინააღმდეგება ფული არას გზით ადმინისტრაციის ხელში არ გადავიდეს, ვინაიდან გუბერნატორები პირველი გამორბიან, თუ კი მათს რაიონს რაიმე ხიფათი მოელისო. ამიტომ საჭიროა თვით გამოქცეულთა შორისვე დაარსდეს საზოგადო ორგანიზაცია, რომელიც შესაფერისად გაანაწილებს ყოველისფერს, რაც მათდა სასარგებლოდ მოიკრიბებაო.

ფრიდმანი გაახსენებს, რომ პირველი გამოქცეულები ებრაელები იყვნენ, რომელთაც ადრეევე ერეკებოდნენ, ხშირად ორი-სამი თვის წინად, ვიდრე მტერი უახლოვდებოდა. აღყვავებული ქალაქები ერთი დღის განმავლობაში უდაბნოდ ქცეულან. ზოგიერთ ადგილას ებრაელობა მთელი თვეობით დაწიალობდა, მაგრამ თავშესაფარს ვერ ჰპოულობდა, კოვნოს გუბერნიაში იმის გამოისად, რომ ებრაელთ უფლება არ ჰქონდათ ქონების გაზიდვისა, გერმანელებს აუარებელი დავლა დარჩათ, რასაც მილიონებითაც ვერ აანაზღაურებენ. ხშირად გადაუსახლებიათ ებრაელობა, თუმცა ეს საჭიროებას არ მოუთხოვნია. მთავრობა უფრო ფრთხილად უნდა მოექცეს გადასახლებულთა ქონებას, პატივით მოეპყრას მათ ადამიანურს უფლებებს და ხელს არ უშლიდეს, თუ ისინი კავშირს დააარსებენ ერთმანეთის დასახმარებლად. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ებრაელთ მიეცეთ უბრალო, ელემენტარი უფლებანი, ურომლისოდაც ადამიანი ვეღარ ადამიანობსო.

ზამისლოვსკის აზრით, ცუდათ არის შედგენილი პირველი მუხლი, რომელიც განმარტავს „გამოქცეულის“ ცნებას. ტექსტის ძალით, „გამოქცეულთა“ კატეგორიაში მოქცეულია ის პირი, რომელიც გადმოუსახლებიათ ამა თუ იმ ადგილიდან, როგორც შენიშნული პირი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში. ასეთი ფორმულა ორატორს შემცდარ ფორმულად მიაჩნდა, რადგანაც გამოქცეულად მხოლოდ ის პირი უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მთავრობაც, საზოგადოებაც და კერძო პირებიც ფართე დახმარებას უწევს, მაშინ როდესაც ჯაშუშობაში შენიშნულ და გადმოსახლებულ პირს, დახმარების სურვილით არავინ შეეგებება. ამიტომ ზამისლოვსკის შემოაქვს შემდეგი დამატება პირველ მუხლში: გამოქცეულად არ ჩაითვლება, ვინც ბრძოლის ველიდან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არის გამოგზავნილი.

ზამისლოვსკის წინადადება მიღებულ იქმნა.

მეოთხე მუხლში, რომელიც მოუწოდებს ფართო საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს გამოქცეულებისთვის დახმარების მოწყობის საქმეში, შეტანილ იქმნა პროგრესისტების დამატება, რომ ქალებსაც მიეცეს ამგვარი უფლება მეცამეტე მუხლში პროგრესისტების წინადადებით შეიტანეს დამატება, რომ სხვა დახმარებათა შორის იზრუნონ გამოქცეულთა სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სკოლების, კურსების და სხვათა გამართვით.

გრაფ კაპნისტი II-ს წინადადება შემოაქვს რომ საღერბო გადასახადისგან თავისუფალი იყოს რაც რამ თხოვნა თუ სხვა ქაღალდი, რომელიც გამოქცეულების მოგვარების საქმეს შეეხება, წარედგინება მთავრობის დაწესებულებებს თუ ცალკე პირებს. წინადადება მიღებულია.

მე-16 მუხლში კაპნისტ მეორეს შეაქვს დამატება, რომ ომის გათავების შემდეგ შინაურ საქმეთა მინისტრმა წარუდგინოს სახელმ. საბჭოსა და სახ. სათათბიროს დაწვრილებითი ანგარიში იმის შესახებ, თუ რა გაკეთებულა გამოქცეულთათვის. წინადადება მიღებულია.

პროგრესისტების სახელით ბ-ნი **ეფრემოვი** მოითხოვს, რომ 21 მუხლი შემდეგნაირად გამოითქვას: გამოქცეულებისა და მათ მომავლის შესახებ ადგილობრივ ზრუნვა უნდა დაეკისროს საერობო და საქალაქო თვითმართველობაო, რომლებთაც უფლება ეძლევათ მოიწვიოს ორთავე სქესის პირები როგორც ადგილობრივ მკვიდრებისა, აგრეთვე თვით გამოქცეულებისაგან; უფლება აქვთ აგრეთვე გამართონ ცალკე კომიტეტები იმ ადგილებში საცა ეს საჭირო იქნება. ხოლო იმ ადგილებში, სადაც არც საერობი თყითმართველობა და არც საქალაქო, ადგილობრივი ზრუნვა გამოქცეულებისათვის უნდა დაეკისროს მცხოვრებთა საგუბერნიო, სამაზრო, საქალაქო და თუ გაჭირდა, თვით საუბნო ადგილობრივ კომიტეტებს. ეს კომიტეტი შესდგება ორივე სქესის პირისაგან, რომლებიც არჩეულ იქმნებიან ნდობით მოსილ ადგილობრივ მკვიდრებიდან ისე როგორც თვით გამოქცეულებიდან, ადგილობრივი საგუბერნიო ზრუნველობა იმოქმედებს საგანგებო პირების თავმჯდომარეობის ქვეშ, რომელთაც საამისო რწმუნებულება ექნება მინიჭებული შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, გამოქცეულთათვის მზრუნავ კერძო თათბირის ჩვენებით. ხოლო სამაზრო და საუბნო მზრუნველობა იმოქმედებს იმ პირთა ხელმძღვანელობით, რომელთაც აირჩე-

ვენ საგუბერნიო კომიტეტები.

ოპოჩინინი მომხრეა იმისი, რომ იქ სადაც წვრილი საერობო ორგანო აღარ არსებობს გამოუქცეულების მოვლა-პატრონობა თავს იდვან—მართლმადიდებელ ეკლესიის მრევლებმა ყველა ადგილობრივმა საეკლესიო ორგანიზაციებმა სარწმუნოებისა და ეროვნობის განურჩევლად,

პაპაჯანოვი წინადადებას იძლევა: „ობივატელსკი კომიტეტი“ შეიცვალოს: „ომისგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტად“.

21 მუხლი მიღებულ იქმნა პროგრესისტების რედაქციით, ოპოჩინინისა და პაპაჯანოვის შემწეობით.

სახელმწიფო საბჭო

სახემწიფო საბჭომ კულომზიის თავმჯდომარებით მიიღო სახელმ. სათათბიროს კანონპროექტი ოთხი კერძო თათბირის დასაწესებლად, რომელთაგან ერთი სახელმწიფოს დაცვის ღონისძიებათა შეერთებას ემსახურება, მეორე სახელმწიფო თავდაცვის გზების გათბობის საქმეს აწესრიგებს, მესამე, – კრების საკითხის მოგვაერებას ისახავს მიზნად და მეოთხე საკვებისა და სამხედრო მასალების გადაზიდვას ხელმძღვანელობს. მომხსენებელი იყო სტიშინსკი.

კოვალევსკი მხარს უჭერს სათათბიროს პროეკტს და გამოთქვამს სურვილს, რომ თათბირებში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მუშებსაც, რომელთაც ორატორის სიტყვით, გამოიჩინეს მაღალი პატრიოტული გრძნობა ამ საშინელ სისხლის წვიმების დროს, გამოთქმული სურვილი საბჭომ შეიწყნარა.

დიტმარიც მომხრეა სათათბიროს პროეკტისა დასახული მიზნის უზენაესობის გამო, თუმცა იქ დიდძალ დეფექტებს ხედავს.

მღვდელი მუტკევიჩიც მომხრეა, მუშებმაც მიიღონ მონაწილეობა თათბირებში, რადგანაც პუტულკის ქარხნის მუშებს მისთვის გაუცვნიათ მრავალი ფაკტი, რომელიც ამგვარ ღონისძიებას საჭიროს ხდის.

მაკლაკოვი, სინიდისის წინაშე წინააღმდეგია სათათბიროს კანონპროეკტისა, რადგანაც პრაკტიკულის თვალსაზრისით იგი გამოუსადეგარად მიაჩნია ხოლო თეორიულის თვალსაზრისით შეუწყნარებელი, რადგანაც სათათბიროსაგან მოხდენილი გასწორებათა შემდეგ, კანონპროეკტი არ უპასუხებს რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას.

თავადი ლოპანოვი-როსტივსკი მოითხოვს მეხუთე თათბირის შედგენასაც, რომელმაც მიზნად უნდა დაისახოს გერმანელთა ძალაობის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგანაც უცხოეთის ქვეშევრდომები არ იშლიან ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერების გაბათილებასო. მიუხედავად მთავრობისგან მიღებულ ღონისძიებისაო. ამ ფორმულის წინააღმდეგ გაილაშქრა თავდმა ობოლენსკიმ, რომელმაც განაცხადა, შეუძლებელია ჯერ კიდევ საკამათო და გამოსარკვევი დებულება მივაღებინოთ საბჭოსო. ობოლენსკის მხარს უჭერენ სხვებიც და ლომანოვ-როსტოვსკის ფორმულა უმეტესობამ უარჰყო.

კამათი გამოიწვია გამოთქმულმა სურვილმა, რომ საბჭოსი და საფათბიროს იმ წევრებმა, რომლებიც თათბირების წევრებად არიან არჩეულები, გამართონ შერეული კერძო თათბირი, იქონიონ კერძო საქმის წარმოება, სხდომები მოაწყონ საკანონმდებლო დაწესებულებებში და მაშინაც იმუშაონ, როღესაც ამ დაწესებულებათა მუშაობა შეწყვეტილ იქნება. სტიშინსკი აცხადებს, რომ იგი ამ გვარი კერძო თანამშრომლობას სასურველად სცნობს, მაგრამ მხარს ვერ დაუჭერს რადგანაც ასეთი თანამშრომლობა, მისი აზრით, ეწინააღმდეგება გაერთიანების პროეკტს, რომელიც კანონპროექტის საძირკველს წარმოადგენს. სტაბინსკის აზრით აქ იმალება ერთნაირი საპარლამენტო ბლოკი, რომელიც მოქმედებს საკანონმდებლო დაწესებულებათა სესიის დროსაცაო. კერძო თათბირი საქმის შემაფერხებელი იქნებაო. სამხედრო მინისტრ პოლივანოვს ზედმეტათ მიაჩნია მეხუთე თათბირის შექმნა, რადგანაც კანონპროეკტი უფლებას ანიჭებს სამხედრო მინისტრს საჭიროების დროს მოიწვიოს ყველა წევრის კალეკტიური თათბირი სამოცი წევრის შეკრება საქმეს შეაფერხებს და გაართულებსო. გურკო ამბობს, მთავრობის და მრეწველობის წარმომადგენელნი გაერთიანებული არიან, გაერთიანებული არ არიან საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრები და ვერც შესძლებენ ნაყოფიურ მუშაობას თუ ურთ-ერთს არაფერი გააგებიეს. ამგვარი კერძო თათბირი ანდრეევსკის მიაჩნია ზე-მთავრობად, რომელიც ამ შფოთიან დროს ყოვლად შეუძლებელია. იგი გახდება მავნებელ სიმწვავეთა ახალ კერად. მეხუთე თათბირი უარჰყო სმბჭომ 78 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 47.

ქალაქის თავის არჩევნები გათოვში

(დეპეშა საკუთარ. კორესპონდენტისაგან)

ქალაქის თავად არჩეულ იქმნა თავადი ი. ზ. ანდრონიკაშვილი 28 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-ისა.

ახალი ამბავი

მოწოდება. „დენ“-ში დაბეჭდილია მოწოდება დეპუტატების ჩხეიძისა და კერენსკისა—რუს ემიგრანტებისა და მათი ცოლშვილის სასარგებლოდ ფულის შეგროვების შესახებ.

მარშლის წასვლა. პარასკევს, 21 აგვისტოს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე ჩოლოყაშვილი კახეთს მიემგზავრება, საიდანაც თბილისში დაბრუნდება 25—26 აგვისტოს.

ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე, მეორე სახელმწსფო სათათბიროს დეპუტატი, ამ ჟამად იმყოფება საცხოვრებლად სარატოვში. როგორც ვიცით, წინად ის ასტრახანში იმყოფებოდა.

კავკასიის მთავარ კომიტეტს ჰქონია ამ ჟამად თავისუფალი თანხა 800,000 მანეთამდე. კომიტეტის წევრი ა. ა. პავლოვი იმ აზრის არის, რომ ეს თანხა დროებით მოხმარდეს გადმოხვეწილ სომხების მდგომარეობის გაუმჯობესობას, სანამ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირისაგან ამ საგნისათვის საკმაო ფული იქნება გადმოგზავნილი.

სასოფლო-სამ. ბანკის გარშემო. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრთა კერძო თათბირი გაიმართა თავად ლევ. ალ. ვაჩნაძის თავმჯდომარეობით, ახალ კლუბის დარბაზში, კვირას, 16 აგვისტოს- თათბირს დაესწრნენ თავად-აზნაურობისა და მიწათ-მფლობელების წარმომადგენლები, რიცხვით 80-ამდე. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა ერთხმად დაადგინა ეთხოვოს ბანკის დამსახურებულ დირეკტორს ბან. ვ. რ. ყიფიანს დაიჭიროს ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ადგილი, ხოლო დირეკტორად ნაცვლად ბ-ნი ყიფიანისა თანამდებობაზედ მოიწვიონ, ბ-ნი პ. ა. გოთუა, ბანკის საბჭოს წევრი. უკეთუ ბ-ნმა ვ. რ. ყიფიანმა წინადადება არ შეიწყნარა, მაშინ გამგეობის თავმჯდომარეობა ეთხოვოს ბ. პ. ა. გოთუას. ამ პირებთან მოსალაპარაკებლად არჩეულ იქმნა განსაკუთრებული დეპუტაცია. რომელშიაც შედიან ლ. ა. ვაჩნაძე, ა. ზ. ბერელაშვილი და ს. ი. ფოროქოშვილი.

დანაკარგის ანაზღაურება. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ერთი ყულაბა, სხვათა შორის, გამოკიდებული იყო ხარფუხის კლუბის საზაფხულო როტონდაში. ამ რამდენიმე დღის წინად აღმოჩნდა, რომ ყულაბა ვიღაცას გაეტეხნა და ფულები წაეღო. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. კლუბის მამასახლისთა საბჭოს ამის გამო დაუჯარიმებია, უყურადღებობისა და დაუდევრობისათვის, კლუბის მოსამსახურენი—ოფიციანტები თითო მანეთით, ხოლო ლოტოში მომუშავენი სამსამი მანეთით. შეგროვილა სულ 41 მან. 25 კაპ., რომელიც მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა დიმიტრი დუმბაძემ გადასცა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას.

მ. ნ. კიშკინი გადმოხვეწილ სომეხთა შესახებ. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარ რწმუნებულის ამხანაგის, პროფესორის მ. ნ. კიშკინის აზრით, გადმოხვეწილთა დახმარების წესიერად მოწყობას ზნეობრივ მოვალეობის გარდა სხვა უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვა და სხვა გადამდებმა სენმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი გადმოხვეწილთა შორის და ეს მოვლენა საფრთხეს უმზადებს არა მარტო იმ ადგილებს, საცა მათი დასახლება განზრახულია, არამედ ყველა იმ რაიონებსაც, საცა ეს გადმოხვეწილნი გზად გაივლიან და მთელს კავკასიასაც. ამასთანავე გადმოხვეწილნი დიდ საფრთხეს უმზადებენ მეომრებსაც, რომელთაც, სულ ადვილი შესაძლებელია, მოედოს ეს სნეულებანი. ამიტომ, ბ-ნ კიშკინის მოსაზრებით, მთელმა რუსეთმა უნდა იკისროს გადმოხვეწილებზე მზრუნველობა, ვინაიდან ერთი რომელიმე ქალაქი, საზოგადოება, ანუ ორგანიზაცია ყოვლად უძლურია ამ შემთხვევაში. ამ საკითხს ფართე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროა ფართედ შედგეს გეგმა მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცდენად. კიშკინის აზრით, გეგმა მოქმედებისა ამ შემთხვევაში ასეთი უნდა იყვეს: უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საკითხი გადამდებ სენთან ბრძოლის შესახებ მჭიდროდ უნდა იყვეს დაკავშირებული გადმოხვეწილთა დახმარებასთან, ვინაიდან ყოველგვარ სნეულების გამავრცელებლად ამიერკავკასიაში ეს გადმოხვეწილნი უთუოდ განცალკევებულ უნდა იქნან ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან და საბინადროდ უნდა გაიგზავნონ მათთვის წინადვე დამზადებულ ალაგას. რათა გზა და გზა სნეულება არ გაავრცელონ, საჭიროა ყველა ავადმყო დატოვებულ იქმნას საექიმოდ ეჩმიძინში, რომელიც დღეს წარმოადგენს ამ შემოხიზნულთა მთავარ ბუდეს. გეგმის განხორციელება დიდ ფულს მოითხოვს, რომელიც სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა გაიღოს, რადგან ყოყმანი და დაგვიანება ამ შემთხვევაში უადგილოა და შეშდეგში უფრო დიდ ხარჯს მოითხოვს. გადმოხვეწილთა რიცხვი, ბ-ნ კიშკინის ანგარიშით, 150,000-ს უდრის. თითო სულზე რომ ხუთი შაური ვივარაუდოთ დღეში სასმელ-საჭმლით, ჩაცმა დახურვით, წამლით და სხვ., თვეში საჭიროა 1.125,000 მანეთი. მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირს, როგორც ბ-ნი კიშკინი ამბობს, აზრად აქვს, ეს თანხა შეიტანოს თავისს ხარჯთ-აღრიცხვაში და მთავრობას მოსთხოვოს იგი.

დეპუტაცია. 18 აგვისტოს სასოფლო სამეურნეო ბანკის დირექტორთან, ვ. რ. ყიფიანთან, ბანკის წევრების მიერ გაგზავნილი დეპუტაცია მივიდა და სთხოვა, რომ ბანკის თავმჯდომარეობა იკისროს. დეპუტაციაში იყვნენ ისეთი საპატიო კაცები, როგორიც არიან თავ. ლ. ა. ვაჩნაძე, ს. ი. ფორაქაშვილი და ა. ზ. ბერელაშვილი. ბანკის ყველა დარგის წევრები—ვაჭარ-მრეწველნი, თავადაზნაურობა, ინტელიგენცია და სხ.—სთხოვენ ბ-ნს ყიფიანს თავმჯდომარეობას, ერთხმად, კენჭის უყრელად. წევრთა მიერ დასახელებული, ერთი მეორის მოცილე, კანდიდატები, პ. ა. გოთუა და ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილიც, თავის მხრივ სთხოვეს ვ. რ. ყიფიანს, რომ მან იკისროს ბანკის თავმჯდომარეობა, ხოლო ისინი დირექტორის თანამდებობაზე იყრიან კენჭს. ბ-ნი ყიფიანი ძალიან უარზე იდგა, მაგრამ, როგორც იყო, დეპუტაციამ დაიყოლა და პირობა ათქმევინა.

ფერშალი ი. ლეკიშვილი აცხადებს მშობლებისა და ნათესავების საყურადღებოდ, რომ მე ტყვედ არა ვარ წაყვანილი, როგორც შეცდომით ვიღამაც ხმა გაავრცელა და ამ ჟამადაც თავისს ადგილას ვიმყოფებიო.

დაჭრილი ჯარისკაცნი. თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ჯარისკაცნი: ნ. ორველაშვილი, ა. დოქვაძე, ა. ყუბერიძე, ზ. ყულიაშვილი, ე. გელაშვილი, ხ. პატარაძე, ი. სვანიძე, გ. კუსრაშვილი, გ. ბოსტოგანაშვილი, პ. ეპაპიძე, ა. გავრიჩიანი, გ. გაბაძე, მ. გამსახურდია, მ. გალუსტაშვილი, ვ. კაბანია, გ. ძენაშვილი, ზ. ძამსაშვილი, ი. კომახიძე, ა. ჭელიძე, ა. დოგუდაშვილი, ნ. ტაგიშვილი, ი. ჩხერშაია, ი. მასხარაძე, ი. აბესაძე, დ. ჩეჟია, ა. ზირაქაშვილი, ფ. ვანდიშვილი, ა. ღვინიაშვილი, ნ. კალმახელიძე, დ. გოგელაშვილი, პ. სულავა.

ხოლერა. 18 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 6 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი; გარდაიცვალა 4; 18 აგვისტოს საავადმყოფოში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 62 და ხოლერის ნიშნებით 14 კაცი.

გადამდები სენი. 18 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 34, ხუნაგიანი 18, ყვავილიანი 2, მუცელაიანი ოთხი, საოფლიანი 19 და შავი სახადიანი 29 კაცი.

სურსათის სიძვირე სოფლად. როგორც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ რაჭიდან, იქაურს მაზრებში 1 კოდი (2 ფუთი) პურის ხორბალი ფასობს 5—7 მანეთი, 1 კოდი სიმინდი 3—5 მან., 1 კოდი ლობიო 4—8 მან. და 1 ფუთი რუსეთის სიმინდი 90 კაპ.—1—40 კაპ. საკვების საჭიროება დიდია რაჭაში. კორესპონდენტის გამოანგარიშებით, ახალ მოსავლამდე საჭიროა ხალხის გამოსაკვებად 50,000 მანეთის სიმინდი. ხალხის გაჭირვება მარტო წლევანდელ წყალდიდობით და ნიაღვრებით არ აიხსნება, არამედ სხვა მიზეზებით.

რედაქციამ შიიღო საქველმოქმედო საზოგადოებისთვის გარდასაცემად ბეითალ ედილაშვილისაგან 3 მანეთი, დაბა კახში (ზაქათ. ოლქი) გაყიდული 20 ცალი „ძმური სიტყისა და 10 ცალი Братское Слово“-საგან,

დ. ხ ო ნ ი.

— სამშაბათს, 11 აგვისტოს სტუდენტ მიხეილ ჭავჭანიძის სასარგებლოდ წარმოადგინეს იქნა „ცხოვრების გმირი“.

— ქუთაისიდან ხონამდე ავტომობილთა მიმოსვლა სწარმოებს, ფასი 1 მ. 20 კ.

— შაბათს 15 მარიამობისთვეს გაიმართა ბენეფისი ნიკო გვარაძისა. წარმოადგინეს „ცხოვრების ტალღებში“.

— თეატრში ცეცხლის გაჩენის გამო ხონის ბოქაულს ბრძანება მოუვიდა გუბერნატორიდან, რომ თეატრი დაკეტოს.

— წელს სემინარიაში მთხოვნელები ძლიერ ცოტაა.

— სეზონი დაიხურება 20 აგვისტოს.

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „საქართველოს“ 9 აგვისტოს თარიღის ნომერში მოთავსებულ წერილში საინგილოდან სხვა კორექტურულ შეცდომებთან ერთად დაჭშვებულია შეცდომა, რომელმაც შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს. სწერია: კახში ქარელების სასარგებლოდ მოწყობილი წარმოდგენა; უნდა იყოს: ხაკში **აჭარლების** სასარგებლოდ.

შაბათის ნომერში (70) „დამზრალი სიცოცხლის“ უკანასკნ. სვეტში ქვევ. 5 პწკარი გამოტოვებულია „...მოგაბეზრებ!“. შემდეგ „მხოლოდ წერილის ბოლოში გისურვებ,“

ქართული ეროვნული სახელები

(დასასრული)

რაც აშოტსა და ვახტანგზე ვთქვით, ის აღარ ითქმის ზოგიერთა სხვა სახელებზე. აკადემიკოსმა ნიკო მარრმა 1903 წელს გამოსცა „ცხოვრება ცხრათა ყრმათა კოლაელთა ერთად-ერთ, ათონის მეათე საუკუნის, ხელნაწერით; არც ამ ხელნაწერში და არც სხვა რომელიმე წყაროში ამ ყრმების სახელები ნაჩვენები არ არის; საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან ამოწერა **ბ. ახელმა** მათი სახელები: რამაზ, ფარსმან, ჯუანშერ, ბარძიმ, ბაქარ, გვარამ და ვაჩე? **ბ. ახელი** კატეგორიულად ამბობს, რომ იყო ვიღაც „ქაიხოსრო ქართველი“, რომელიც ცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნეში, ეწამა 1558 წელს და იდღესასწაულების 16 თიბათვეს“. აგერ ათი წელიწადი იქნება, რაც ქართულ ლიტურღიკულ და აგიოგრაფიულ მწერლობას ვიკვლევ და ასეთი ცნობა, უნდა გამოვტყდე, არსად შემხვედრია. **ბ. ახელი** უკმაყოფილოა, რომ ჩვენში ქართულ-სლავიანურ დაბეჭდილ კონდაკ-კურთხევანს და ჰაცტუკ-კირხნერის და საქართველოს კალენდრებს ვერ გაცილებიან „ქართულ“ სახელების გამორკვევის დროს; უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც ის კისრულობს ამათ ნაკლის შევსებას და ამ მიზნით აქვეყნებს „ზოგიერთ უფრო გავრცელებულ ქართულ სახელების სიას“ თვისა და რიცხვის ჩვენებით, იმას ხელში აქვს უტყუარი და საიმედო მასალები; მეტად საჭიროა უჩვენოს, მან ეს მასალები, ამით პირიდან მე ეს ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევს. სასურველია - აგრეთვე გაგვაცნოს ის წყარო, რომელიც **ღვთისიას** ხსენებას უჩვენებს 5 ივნისს და **უფლისას** 5 აპრილს.

დავანებოთ თავი მეცნიერულ მხარეს **ბ. ახელის** „ეროვნულ სახელთა“ სიისას და ვნახოთ რავდენად შეუძლია ამ სიას „გაუმჯობესობა შეიტანოს იმ უხერხულ მდგომარეობაში“, რომელშიაც ჩააყენა მღვდელი და მრევლი სინოდის ცნობილმა „უქაზმა“, გარდა მის მიერ ჩამოთვლილ 47 სახელისა ჩვენში ხმარებაშია ათასი სხვაც; ნუ თუ **ბ. ახელს** ჰგონია, რომ ჩვენ ხალხში ტარიჯანი და ვაჩე უფროა ხმარებაში, ვიდრე, მაგალითად, ანდუყაფარ, ავთანდილ, აფრასიონ, ასალო, ამირან, ასლან, ბეგლარ, ბეჟან, ბიჭია, გლახუა, გულქან, გოჯასპირ, დაფინე, დურმიშხან, ესმა, ედიმერ, ვახუშტი, ვარდენ, თამაზ, მერაბ, მურზაყან; მანუჩარ, ოტია, რევაზ, სარდიონ, ტარიელ, ფირან, ფარნაოზ, ფრიდონ, ხვარამზე და სხვა მრავალი? რა უყოთ ამ სახელებს, რომლებიც არა ნაკლებ „ძვირფასია ქართველ ერისათვის თავის ისტორიულ მნიშვნელობით და ფსიხიურ შინაარსით“, ვიდრე მის მიერ ჩამოთვლილი? გადაგდება მათი არ შეიძლება, რადგანაც ისინი ხალხმა შეისისხლ-ხორცა და, სხვა არა იყოს რა, ფონეტიკურად მაინც გაქართულა. მაშ რა ვქნათ? მე სრულიად ვეთანხმები იმ შენიშვნას, რომელიც „საქართველომ“ გაუკეთა ბ. ს. დ—ძის წერილს (№ 63); აქ ვეცდები მხოლოდ ისტორიული საბუთი მოუძებნო იმ შენიშვნას.

ძველის დროიდან ეკლესია მოითხოვს, რომ ახლად დაბადებულ ბავშვს დაერქვას ერთ-ერთ წმიდათაგანის სახელი, რომელიც საქრისტიანო ონომასტიკონშია ნაჩვენები. მაგრამ ძველადვე იყო ჩვეულება, რომ ბავშებს ქრისტიანულ სახელთან არქმევდენ ისეთ სახელსაც, რომელიც ონომასტიკონში არ მოიპოვება; ამ მეორე სახელს უფრო იცნობდენ, ვიდრე პირველს, ქრისტიანულს. ასეთ ჩვეულებას ადგილი ჰქონდა საბერძნეთში; იოანე ოქროპირი ერთ-ერთ თავის თხუზულებაში სწერს: „მმართველთა წრეში მიღებულია ორმაგი სახელი, და არა მარტო მმართველთა წრები, არამედ მხედართა შორისაც; კერძო პირებიც ხშირად ატარებენ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ორმაგ სახელს“ (ტომი III, გვ. 114). ერთს წმიდანს, რომელიც 311 წელს აწამეს, მტარვალმა სახელი ჰკითხა; მამული ჩემი სახელი ბალზამონ არს, ხოლო სულიერი, რომელი ნათლისღებასა მომიღების, პეტრე“,—მიუგო მან. ამავე მოვლენას ჩვენ ვხედავთ რუსეთშიც, მაგალითად: მიხაილ-სვიატოპოლკ, ვასილი-ვლადიმირ, მიხაილ-ოლეგ, პინკრატი-იაროსლავ, ანდრია-მსტისლავ და სხვა. საქართველოში ამ ჩვეულებას უფრო ჰქონია მოკიდებული ფეხი, საკმაოა ამის დასამტკიცებლად გადაიკითხოთ ათონის და ჯვარის მონასტრის აღაპები. ორმაგ სახელს ატარებდენ ჩვენში ხშირად მეფეები, და წარმოიდგინეთ, ისეთი პირებიც კი, რომელნიც წმიდანებად არიან აღიარებულნი, მაგალითად: მიხეილ-გობრონ, კონსტანტინე-კახაჲ, იოანე-აბუჰარბ; წმ. შუშანიკის შესახებ აგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მას ერქვა „მამისაგანი სახელი ვარდანი და სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 182). თუ ძველად ეგრე იყო, არც ეხლა უშავს რა, სინოდის „უქაზით“ შექმნილ სცილა და ხარიბდას თავიდან ასაცილებლად, ბავშვს ნათლის ღებაში დავარქვათ რომელიმე „დაკანონებული“ სახელი, ხოლო „საშინაოდ“ ვიხმაროთ ის „ქართული“ სახელი, რომელიც მოგვწონს. როდესაც ჩვენი ისტორიული საბუთები უფრო მოიძებნება და შესწავლილ იქნება, მაშინ, უნდა ვიფიქროდ, „საშინაო“ სახელებსაც შუქი მოეფინება და ბევრი მათგანი დაკანონდება. წმ. რაჟდენის აგიოგრაფი ამბობნ: „დამაკლებს მე ჟამი ესე აღრიცხვად სიმრავლესა მოწამეთასა, რომელნი გამობრწყინდეს შემდგომად წმიდისა ამის მოწამისა (რაჟდენის), რომელნი აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 171). იმედი ვიქონიოთ, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, მოიძებნება აქ აღნიშნული „წიგნი უწყებისა მათისა“, რომელიც მოგვაწვდის ნამდვილ და ვრცელ ცნობებს; ჯერ-ჯერობით კი თავი დავანებოთ ისტორიულ სფეროში ფანტაზიორობას, სხვა ერთა წმიდანების მითვისებას, და ვიკმაროთ ის სახელები,

რომელიც დაუდასტურებია ჩვენს მდიდარს საეკლესიო მწერლობას საზოგადოდ და აგიოგრაფიას კერძოდ.

დეკ. კ. კეკელიძე.

ქართ. საქველმოქმედო საზოგად. საქმიანობა

ყველას კარგად მოეხსენება, თუ ომმა რა შევიწროება ჩამოაგდო ყოველგან და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მუშა ხელის დანაკლისი რო არ ვიანგარიშოთ, საკმარისია გავიხსენოთ წრევანდელი მოუსავლობა, მასთან ბუნების გამოლაშქრება, წყალდიდობა, სეტყვა, რომ თვალ წინ წარმოგვიდგეს საშინელი სურათები უპატრონოდ დარჩენილ პროვინციებისა. აი, ამ გაჭირვების დროს ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებამ შეძლებისადაგვარად დიდი მხნეობა და უნარი გამოიჩინა, რომ გაჭირვებისთვის როგორმე თავი აერთვა და მთელი ქვეყანა ეხსნა სიმშლის კლანჭებიდან. მან, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია არსობის პურს, სიმინდის შემოტანას. ამ მიზნით მან აირჩია თვისი რწმუნებული ბ-ნი გონატოვი, რომელმაც საქველმოქმედო საზოგადოებას მართლაც უდიდესი სამსახური გაუწია, მართალია, ვიდრე ხსენებული საზოგადოება დატრიალებულა, ჩვენში სხვა პირებს შემოჰქონდათ სიმინდი, მაგრამ ეს იყო წმინდა ჩარჩული თვალსაზრისით, რომ მოგება ენახათ და არა იმიტომ, რომ გაჭირვებულ ხალხისთვის შეღავათი მიეცათ. ამ პირებმა ადრევე სამასზე მეტი ვაგონი სიმინდი შემოიტანეს, მაშასადამე, სამასი ათასი ფუთი. მაგრამ მაგარიც ის გახლავთ, რომ დამშეულთ მეტად უძნელდებოდათ სიმინდის შეძენა, ვინაიდან ფუთს ექვს აბაზ ნაკლებ არა ჰყიდდენ, თუმცა ეს მინიმალი ფასი ხშირად რვა აბაზზე ასულა. აი, ამიტომაცაა საზოგადოების რწმუნებულ გონატოვის როლი თვალსაჩინო და ფასდაუდებელი. მან ჯერჯერობით 200 ათასი ფუთი შემოიტანა. სიმინდი კარგი ხარისხისა გამოდგა და, რაც აღსანიშნავია, გაცილებით იაფად ჰყიდის, ვიდრე მაზანდა იყო. გონატოვს ფუთზე მანეთი უნდა აეღო, მაგრამ 18 შაურზე ჩამოვიდა. თქმა არ უნდა, ხალხი პირველ კამპანიას ზურგს შეაქცევდა და ჩვენი საზოგადოების რწმუნებულს მხარს დაუჭერდა. გასაოცარი ის არის, რომ ეს პატივცემული პიროვნება, ჩვენი მეზობელი ჩაჩანი, არავითარ დაბრკოლებას არ ერიდება, რომ დამშეულთ მიეპატრონოს და სიმინდი ყოველ კუთხეში ხელსაყრელ ფასში მიაწოდოს. ამ მიზნით საქველ. საზ. მისი მეთაურობით გახსნა სიმინდის საწყობები ქუთაისსა და ახალ-სენაკში, სადაც ვაჭრობა სწარმოებს ფუთობით ხსენებულ ფასში, ასე რომ დამშეულ ხალხს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს გამყიდველთან.

მადლობის ღირსია ჩვენი საქველ-მოქმედო საზოგადოება ასეთ საქმიანობისთვის, მადლობის ღირსია თვით გონატოვიც ასეთ თავაზიანობის გამოისად, რის გამოც ჩვენს დამშეულ საზოგადოებაში დიდი პატივი, ნდობა და სიყვალული დაიმსახურა, მით უმეტეს, რომ მისმა ასეთმა თამამმა საქციელმა წინა კამპანიის მაზანდა დასცა და ძალაუნებურად იმათაც სიმინდი უნდა გაიაფონ, თუ არ სურთ გაუყიდველად საწყობებშივე არ დაულპეთ, ფასის დაცემა უკვე მოხდა, რაც ერთხელკიდევ ზედმეტი პლიუსია ჩვენი დამშეული ქვეყნის სასარგებლოდ.

ქართლელი.

დამწვარ თეატრის გაროშემო

ქართულ თეატრის აღმშენებელ კომიტეტის ბიუროს კრება ჰქონდა ბიუროში თავის დროზე, სხვათა შორის, აღძრული იყო საკითხი ფულის მოგროვების შესახებ თეატრის აღსადგენად, რისთვისაც ფართე ორგანიზაცია იყო საჭირო. მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო, რომელიც თანდათან უფრო თვალსაჩინო და საგრძნობელი გახდა, როგორც მაგალითად შიმშილი დასავლეთ საქართველოში, მაჰმადიან ქართველების გაჭირვება, წყალდიდობა და სხ., ფულის ფართოდ შეგროვება სხვა მოხერხებულ დროისთვის გადაიდვა. ეს დადგენილება კრებამ ვოიწონა და დრომდე ძალაში დასტოვა. ამავე კრებაზე ბიუროს მოხსენდა, რომ განსვენებულ თავ. ნიკ. რევ. ერისთავის ქვრივმა კნ. ეკატერინე მიხეილის ასულმა ერისთავისამ თეატრის საალმშენებლო ფონდს 3000 მან შესწირაო. ბიურომ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს უხვ შემომწირველს და დაავალა თავის წევრთ—თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, ნ. დ. ერისთავს და ი. კ. გედევანიშვილს—პირადად გადასცეს კნეინა ერისთავისას ეს დადგენილება. გარდა ამისა ბიუროს მოხსენდე დღემდე შემოწირულ ფულის ანგარიში, რომლისაგან სჩანს, რომ სხვა და სხვა პირთაგან შემოწირულია 8.463 მან. 10 კაპ., „ახალ კლუბში“ შეგროვილა 3.813 მან. 80 კაპ. და კნ. ე. მ. ერისთავისაგან 3000 მანეთი, სულ 15.277 მან. 90 კაპ.

ბიურო უმორჩილესად სთხოვს შემომწირველთ, ფული გამოგზავნონ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 4) ან გუბერნიის მარშლის სახელობაზე, ანუ ბიუროს ხაზინადრის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის სახელზე.

ბიურო აგრეთვე სთხოვს ყველა გაზეთის რედაქციებს, საცა კი გროვდება შემოწირულებანი, დღემდე შემოსული ფული გადასცენ ბიუროს ხაზინადარს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს.

დამზრალი სიცოცხლე

(დასასრული)

ძვირფასო დაო, ანიკო!

მომიკითხე ყველა შენი კეთილები. ღმერთმა აგაშოროთ ყველას სნე და ჭირი. შენთან, დაო, დიდი მადლობელი ვარ ნუგეშის-ცემისათვის. ზეციერმა საანუგეშო ნურაფერი მოგცეს, თორემ ის გატეხილ გულს ვეღარ გაამრთელებს. „ხომ მოიკეთე, მოიკეთეო?“ მოუთმენლად მეკითხები წერილით. ვიცი, როგორ გსურს შენ ჩემი კარგად-ყოფნა... მაგრამ რაღაი, დაო, ჩემს მოკეთებას!.. ნეტავ, მომკვდარვიყავ, არ მოვრჩენილვიყავ, ასეთ მორჩენას!... რაც მეჯავრებოდა და სხვას რომ სჭირდა, მას ვერ ვიტანდი, ის დამატყდა მე თავზე. ამ სასირცხო სენის შედეგი რომ გავიგე, ჭკუაზედ კინაღამ შევიშალე. არა, მე მგონია, რომ ტვინი მაინც შემიქანდა!.. „შვილი არ აგყვებაო“, მითხრა ექიმმა. უშვილო ოჯახი აბა რასა ჰგავს, ანიკო?!. უშვილო ქალი ცოლი კი არა, ხასაა, ხასა!.. მე ის მქონდა იმედად, შვილის ყოლამ, იქნებ, გადამიფანტოს კოწიასადმი დაფარული უკმაყოფილება; იქნებ, კვლავ დამიბრუნდეს სიცოცხლეს ხალისი—მეთქი. ეხლა კი რაღა!?. რამ უნდა გამახაროს ჩემს ჩაშავებულს ცხოვრებაში?.. რამ უნდა მოჰფინოს შვება ჩემს განაწამებს სულს?.. რამა?.. რამ?.. ნუ თუ უფერულმა მომავალმა, რომელსაც უნებურად უნდა ველოდე, რომელმაც ისედაც აუტანელი უნდა ამრავლოს ჩემი დარდი და ვარამი?.. ანიკო, აი რა ყოფილა ჩვენი ქალების მდგომარეობა! კაცი გავა გარედ, გაფუჭდება, გაისვრება და თავის წახდენას არ იკმარებს, სხვასაც წაბილწავს, მოუწამლავს ახალგაზრდობას. დაო, შენ მაინც უფრთხილდი თავს, გაჰყევი მას, ვისაც ბაშობიდანვე შეზდილხარ, მისი ავი და კარგი იცი. ის შენ არაფერს დაგიმალავს და შენ მას. ქალაქში ნუ გააპოტინებ ხელებს. დე, ღარიბი იყოს, მაგრამ პატიოსანი და ჯანმრთელი,.. მე ესიკას რომ შევხვდე, თვალებში ვერ შევხედავ... ეხლა დარწმუნებული ვარ, მას რომ წავყოლოდი, ორივე ბედნიერი ვიქნებოდით. ამის გახსენება უცრემლოდ არ შემიძლია. „ესიკაც დანაღვლებულია, გამოაკლდა სწორ-ამხანაგებსო“, იწერები. დაო, ის ჯავრს გადიყრის, სხვას მონახავს გულის სწორს. მე კი, მასთან პირშავი, დავრჩები საუკუნოდ გამოკლებული დედათა შორის... ვერ ვატარებ საპატიო სახელს დედისას... ვერ მოვისმენ საყვარელ შვილის ტკბილს ძახილს: „დედა, დედა...“ დაო ანიკო, მითხარი რამე სანუგეშო, საიმედო, რომ კიდევ შევიძლო ჰაერის სუნთქვა, ცოტა რამ მაინც მიჩნდეს გულის მოსაოხი... ვსწერ ამას, და ცრემლები ღაპა-ღუპით მოდის... მახსოვს ტირილი ქალიშვილობაში სევდას გადამიფანტავდა, გულს შემიმსუბუქებდა... ეხლა კი ვსტირი, თვალები ამომინაღველდა, და შვება ახლოც არ მეკარება, მოურჩენელი წყლული უფრო ღრმავდება, და ტკივილი მემატება... კოწიას დანახვა, ღმერთო შემცოდე და მეზარება... მისი ალერსი ტანში ზიზღით მაზრიალებს... გავექცე?.. მოვშორდე?.. სად წავიდე?.. ვის რად უნდივარ დაავადებული, ნახევრად მკვდარი?..

ი. ქავჟარაძე.

დეპეშები

პეტროგრადი, 14 აგვისტო. სათათბიროს მამასახლისთა საბჭომ განიხილა მოქმედების გეგმა და მიიღო პროგრამის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა, პროგრესისტ ნაციონალისტებიდან მოყოლებული ვიდრე კადეტებამდე. ამ კანონპროექტის განხორციელებას სათათბირო შეუდგება როგორც კი გაათავებს იმ კანონპროექტების განხილვას, რომელთაც კავშირი აქვს ომთან. შეიმუშავეს მუშაობის შემდეგი წესი: კანონპროექტები ცენზურის შესახებ, ფოსტის მოსამსახურეთა, კოოპერატივებისა, მოსამსახურეთა დასვენების შესახებ კვირაუქმე დღეებში, კანონპროექტი 1890 წლის საერობო დებულების შეცვლის შესახებ, განაპირა ქვეყნებში ერობის შემოღების შესახებ, კანონპროექტი სიფხიზლისა, რეჟიმისა, საოლქო ერობისა, საერობო და საქალაქო კონგრესებისა და კავშირების შესახებ. ამ პროგრამის წინააღმდეგ გაილაშქრენ მემარჯვენენი. ამათ საკმარისად აღიარეს ამ ომიანობის დროს ისეთი კანონპროექტების გარჩევა, რომელთაც პირდაპირი კავშირი ექნებათ ომთან. პროგრამის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს უკიდურეს მემარჯვენეებმაც.

ლონდონი, ბოლფურას ადმირალტეისტვის „ცეპელინების“ თავდასხმის გამო შემდეგს აქვეყნებს: შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით 20 თვის განმავლობაში 71 მოზრდილი და 17 ბავშვი მოუკლავს, 189 მოზრდილი და 31 ბავშვი დაუჭრია. უნდა ვიკითხოთ, რა შედეგს მიაღწია ასეთ უდანაშაულო სისხლის დაღვრით? პასუხი ადვილია: არც ერთი მეზღვაური და არც ერთი ჯარისკაცი არ მოუკლავთ მხოლოდ 7 დასჭრეს, და მხოლოდ ერთს შემთხვევაში მოყენებულ იქმნა ზიანი, რომელსაც ძნელად თუ ვაღვიარებთ, რომ რაიმე საომარი მნიშვნელობა ჰქონოდეს. „ცეპელინებსს“ თავდასხმა არაადამიანურია, ომის მიზნისთვის და ზნეობრივ გავლენისთვის უშედეგო.

თავრიზი, 17 აგვ. მცხოვრებთა შორის რამდენიმე ხოლერით გახდა ავად. სპარსეთის ჯულფაში ხოლერის ეპიდემიის გამოისად აღარ მოქმედებს ფოსტა-ტელეგრაფი. სოუჯ-ბულაგში ოსმალთა ახალი ელჩი მოვიდა.

ისპაჰანი, 17 აგვ. შირაზში არეულობა უმწვერვალეს წერტილს აღწევს. 2 ათასი შეიარაღებული გაემართა სამხრეთისკენ ინგლისელების გასარეკად. მცხოვრებთა შორის მღელვარებაა. ელიან ბაზრების დახურვას. ჟანდარმერიის უფოსი ჩილინდესი სასტიკ ზომებს იღებს მღელვარების ჩასაქრობად. არ ერიდება თვით ტყვიისმფრქვეველებსაც კი. მეჩეთებში ამაღელვებელ სიტყვებით აჯანყების ცეცხლს აძლიერებენ.

ჩვენი ცხოვრება

ბუკისციხე (გურია). შაბათს, 8 აგვისტოს, სკოლის შენობაში ადგილობრივ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ ვანო ჟორჟიკაშვილმა სიტყვით მიმიმართა საზოგადოებას და მოკლედ განუმარტა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. დამსწრეთა მიერ ფეხზე ადგომით პატივცემულ იქმნა ვაჟას ხსოვნა. წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და აკაკის „ბუტიაობა“. პიესები მწყობრად იქმნა ჩატარებული. მოთამაშეთაგან განირჩეოდნენ ქ-ნი თ. ჟღენტი (მართა) და ბ-ნი მ. შარაშიძე (დარისპანი). შემდეგ წაიკითხეს თავიანთი ლექსები: გ. ქუჩიშვილმა, ი. სიხარულიძემ და „ღრუბელმა“. დასასრულ „ყალთამანმა“ წაიკითხა გურული სცენები, რითაც ხალხი ბევრი აცინა. „ვაივუმ“ ვერ მოახდინა შესაფერი შთაბეჭდილება, რადგანაც აღმასრულებელნი არ ვარგოდნენ და მუსიკაც ხელს ვერ უწყობდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა ხალხი საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენა გათავდა ღამის 1 საათზე. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა. შემოვიდა 32 მანეთამდე.

დამსწრე.

ანგარიში

ქართულ კულტურულ დაწესებულებათა მიერ არჩეულ კომიტეტისაგან.

განსვენებულ დიდი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დასაკრძალავად საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა, თავის უკანასკნელ სხდომაზე, 14 მარიამობისთვეს, დაადგინა გამოქვეყნდეს შემდეგი ანგარიში შემოსავალ-გასავლისა.

შემოსავალი:

1)	თბ. გუბერნ. თავ.-აზნ-საგან	500 მ.
2)	თბ. სათ.-აზნ. ბანკისაგან	300 „
3)	ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. გამგ.	300 „
4)	ბ. მიხ. მამულაშვილისაგან	175 „
5)	„ახალ კლუბისაგან“	150 „
6)	„სახ. ფურ.“ რედაქ—გან	100 „
7)	ქარ. საის. და საეთნ. საზ-ან	100 „
8)	თბ. სათ.-აზ. გიმ. გამ. კ-გან	100 „
9)	თბ. სამეურ. ბანკისაგან	100 „
10)	შავი ქვის მრეწ. საბჭ-გან.	100 „
11)	ქუთ. ქალაქის გამგ-საგან.	50 „
12)	ქუთ. სათ.-აზნ. ბანკისაგან.	50 „
13)	თბ. ქართველ ქალ. საზ-ან	50 „
14)	წ.-კ. გ. ს. ქუთ. განყ-გან	50 „
15)	ხარფუხის კლუბისაგან	50 „
16)	ქართ. საქველმ. საზოგ-ან.	50 „
17)	ქართ. სასოფ. სამ. საზ-გან.	50 „
18)	ქუთ. თავ.-აზ. დეპ. საკ-გან	50 „
19)	„განათლების“ საზოგ-საგან	30 „
20)	ზუბალ. სახ. სახლის ქართ. დრამატიულ წრისაგან	30 „
21)	ნინო და დავით ჯორჯა-გან	25 „
22)	ქართვ. ქალთა საქ. საზ-ან	25 „
23)	ბ. გიორგი კიკნაძისაგან	23 „
24)	კავკ. მაჰმ. საქვ. საზ-გან	15 „
25)	მაჰმადიან ქალთა საზ-გან	15 „
26)	მეჩექმეთა ამხანაგობისაგან	10 „
27)	ბ. მოსე ხითაროვისაგან	10 „
28)	ბ. დიმიტრი ლოლაძისაგან	5 „
29)	ბ. ნიკ. კიკნაძესაგან.	5 „
30)	ბ. ვასილ კახიძისაგან	3 „
31)	ბ. ივ. ზედგინიძისაგან	3 „
32)	ბ. გიორგი შუბლაძისაგან	1 „
	სულ შემოვიდა	2525 მ.

გასავალი:

1)	სასაფლაო ადგილის ფასი.	300 მ.
2)	ბ. კიკნაძეს კუბოსა და სამგლოვ. ეტლისათვის	323 „
3)	ჭირისუფალთა ხარჯი (შავები, გზა და სხვა	250 „
4)	ყვავილები, გვირგ. სხვა და სხვა სამკაული (მამულ-ლს)	175 „
5)	ბ. იაკობ ნიკოლაძეს მასკაში	150 „
6)	მგალობელთა გუნდს	80 „
7)	საფ. გათხრა და მომზადება	50 „
8)	წიგნაკების გამოცემა	49—90
9)	წმ. ნინოს ლაზარეთს (ბ. მამულაშვილის მიერ შემოწირული ფულ. იმისვე გან.	75 მ.
10)	ქვაშვეთის ეკლეს. მსახურთ	33—20
11)	სამგლოვიარო განცხადებანი	16 მ.
12)	წმ. სანთ. და კელაპტრები	46 „
13)	ყვ-ვილები (მანდილ. გუნდს)	13 „
14)	ხის ჯვარი საფლავზე	11 „
15)	მოწმობის აღების ხარჯი	4—75
16)	დეპეშები	18—69
17)	დროშებისა ტ ჯვრების წამ.	9 მ.
18)	სიონის ტაძრის მსახურთ	8—50
19)	მოწოდების დაბეჭდვა, ქაღალდი და მარკა	2—33
	სულ დაიხარჯა	1615—37

ამ რიგად შემოსავალს გადარჩა—909 მან. 60 კაპ., რომელიც კომიტეტის დადგენილების თანახმად გადაეცა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას და თან ეთხოვა, რომ ამ ფულის და მოსალოდნელი*) შემოსავლის ორი მესამედი მოხმარდეს [illegible] ოჯახის საჭიროებას (ბავშვის აღზრდას), ერთი მესამედი კი მიემატოს სალიტერატურო ფონდს.

კომიტეტი მხურვალე მადლობას უცხადებს ყველა დაწესებულებათა და პირთ, რომელნიც დაეხმარენ მას დიდებულ მგოსნის ნეშტის ღირსეულად დაკრძალვის საქმეში.

კომიტეტის მონდობილობით

გიორგი ლასხიშვილი.

*) კიდევ რამდენიმე დაწესებულებაა დაპირებული, რომელნიც ვთხოვთ შემოწირულება პირდაპირ წ. კ. გ. საზ. გამგეობას გამოუგზავნონ.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსელა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „ 58 „	„
ვაზიანიდან	10 „ 06 „	„
ივრიდან	21 „ 15 „	„
საგარეჯოდან	11 „ 58 „	„
ბადიაურიდან	12 „ 56 „	„
მელაანიდან	2 ს. 16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	2 „ 37 „	„
კარდენახიდან	4 „ 12 „	„
წნორის-წყალზე	4 „ 44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „ 33 „	„
თელავში	5 „ 27 „	„

თბილისიდან მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „ 41 „	„
გურჯაანიდან	10 „ 24 „	„
მელაანიდან	11 „ 39 „	„
ბადიაურიდან	12 „ 59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „	„
ივრიდან	2 „ 50 „	„
ვაზიანიდან	3 „ 55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „ 58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „ 13 „	„
ბილისში	5 „ 28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	2 „ 58 „	„
გურჯაანში	10 „ 07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსელა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ.	დილ.
„ სააგარ.	10 ს. 28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

თეატრის მრეწველნი

ძმ. ტეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, **მაილოვის-შვილთ**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელიექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადაროულია სამხედრო ცენზორისაგა